201

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 267
დეკემბრის 13, პარასკევი 1902 წ.
1877

ივერია

№ 267
დეკემბრის 13, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1-ლ დეკემბრიდგან წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს 1 მან. 50 კაპეიკად.

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილურასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საბურთალოში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— არტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი ფურცლის გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 25 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა საიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავალელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

ეზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლი № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—66)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე ქართულ თეატრის ფოიეში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება**.

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური ანგარიში უკვე მზად არის და წევრებს შეუძლიანთ მიიღონ თეატრის კანტორაში 11—2 საათამდის.

№ 22. ტელეფონი № 617.

საგასტროლო წარმოდგენა

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 19 დეკემბერს, 1902 წ.

ნ. ჩხეიძის საგასტროლოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის
მიერ წარმოდგენილ იქნება
პირველად ორი ახალი პიესა

I

ნორა

დრ. 3 მოქ. ჰენრიხ იბსენისა, თარგ. ავ. ცაგარლისა.

II

დედა-კაცის საქმე

კომ. 2 მოქ. რუსულიდგან გადმოკეთებული.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

შეგირდებისათვის (ვინც ფორმაშია) ადგილები 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „გრიგალი“, „დენიზა“, „სიძე-სიმამრი“, „მიკუნჭული ბედნიერება“ და სხვ.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძოლიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. მ. ხოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

ტფილისი

✦ იქით კვირია დაიწყება ჩვენს გაზეთში ბეჭდვა ჩვენის ნიჭიერის ბელეტრისტი ქალის ეკ. გაბაშვილის ახალის მოთხრობისა.

✦ მოგვივიდა მეორე წიგნი სილოვანისა: „ცხოვრების სურათები“. ანუ „ჩემი აზრები და ფიქრები“, რომელშიაც მოთავსებულია სხვა-და-სხვა ლექსები, ჩემი წინადადება ქართული ლექსიკონის შემუშავების შესახებ, როგორ უნდა ვასწავლოთ ქართული ენა ჩვენს ახალგაზრდობას, წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის გამო და სხ. წიგნი შეიცავს 72 გვ. და ჰღირს 20 კ.

✦ მისმა ბრწყინვალებამ კნეინა ანნა ივანეს ასულმა ერისთავისამ ასწავლა ძველებური სხვა-და-სხვა ხელ-საქმე ქართველ ქალთა სამკერვალო˝ და სახელოსნო სკოლის მოწაფეებს. მოწაფეები დაჰყვანდათ კნეინასთან და იქ სწავლობდნენ ყოველ-გვარ ძველებურ ხელსაქმეს. სწორედ სასიამოვნოა, რომ ამ სახით ძველებური ქართული ხელ-საქმე აღარ დაიკარგება და აღდგენისა და, შესაძლებელია, აღორძინების გზასაც დაადგეს. დიდის მადლობის ღირსია პატივცემული კნეინა ასეთის გულ-შემატკივრობისა და სამშობლო ქვეყნის სიყვარულისათვის.

✦ მივიღეთ მეორე ახალი ქართული წიგნაკა: „საქართველო მეთორმეტე საუკუნეში“, შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ. ეს თხზულება პატივცემულის ავტორისა ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ამ ზაფხულს. ახლა მხოლოდ სურათებია შიგ ჩართული მეფე დავით აღმაშენებლისა, თამარისა, გიორგი ლაშასი და რამდენისამე ტაძრისა. წიგნში 155 გვერდია და ჰღირს 40 კაპ.

✦ ჩვენ მივიღეთ ქართულ დრამატიულ საზოგადოების 1901—1902 წ. ანგარიში. როგორც ანგარიშიდგან სჩანს, საზოგადოებას 1901 წლის პირველ ივნისიდგან 1902 წ. მაისის გასვლამდე შემოსავალი ჰქონია 33.203 მ. 36 კ., ამ დროს განმავლობაში დახარჯულა სულ 32,636 მ. 70 კაპ. ნაღდი დარჩენია საზოგადოებას 566 მ. 66 კაპ.

✦ კონსტანტინე მიხეილის ძემ ალიხანოვმა ოფიციალურად მიართვა ქალაქი ქალაქის თავს და უარი განაცხადა ქალაქის თავის კანდიდატობაზედ.

✦ გუშინწინ ქალაქის საბჭოს დარბაზში მოჰხდა ხმოსანთა კერძო კრება, რომელსაც უნდა დაესახელებინა კანდიდატები ქალაქის თავის თანამდებობაზედ. დასახელებულ იქმნენ ქრ. ვერმიშევი და ალ. არლუთინსკი, რომელთაც საცდელად კენჭი უყარეს; კენჭების დათვლამ აღმოაჩინა, რომ ვერმიშევს ამოუვიდა 25 თეთრი, 38 შავი, არლუთინსკის—32 თეთრი, 32 შავი.

✦ ქალაქის გამგეობა, თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, 1899 წლიდან წელიწადში 100 მანეთს აძლევს ვერის საკვირაო სკოლას. ამ ჟამად საკვირაო სკოლასთან გაუხსნიათ სახელსაქმო კლასები ქალებისათვის, რის გამოც სკოლა მეტს ხარჯს ითხოვს. ამიტომ საკვირაო სკოლის ზედამხედველმა ა. მ. წერეთლისამ ამ დღეებში ქალაქის გამგეობას სთხოვა, სკოლას 200 მანეთი დაუნიშნეთ 100 მ. მაგივრადაო.

✦ ორშაბათს, 16 დეკემბერს, მთავარ-მართებლის თანაშემწის ა. ა. ფრეზეს სადგომში კრება ექნება კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებას. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების შესახები სხვა-და-სხვა საქმეები.

✦ ამ დღეებში ქალაქის გამგეობას ქალაქის ლომბარდის გამგემ აცნობა: შენობა ერთიან გაივსო დაგირავებულ ნივთებით და ამას იქით სად წავიღო დასაგირავებლად მოტანილი ნივთებიო.

✦ მომავალ 1903 წლიდგან მთავრობა სახელმწიფო გლეხების ყოფა-ცხოვრების მოწესრიგებას შეუდგება ამიერ-კავკასიაში. პირველ რიგობაში, როგორც „ტორგ. პრომიშ. გაზეთი“ სწერს, ტფილისისა, ერევნისა და განჯის გუბერნიებში მცხოვრებ გლეხთა მიწების განაწილებას შეუდგებიან. ამასთანავე შემუშავდა ახალი წესები სახელმწიფო ადგილებიდგან იჯარით გასაცემ ადგილების გამოსარჩევად და მიწებისა და ტყის „ნადელების“ დასარიგებლად. საქმის დასაჩქარებლად საჭიროდ სცნეს, მომრიგებელ შუა კაცებისა და საგუბერნიო საკრებულოთა წევრების რიცხვს მოემატოს, რისთვისაც ფულიც გადაიდო. მომრიგებელნი შუა კაცნი აქამდე მხოლოდ დროებით ვალდებულ გლეხთა საქმეებს განაგებდნენ ამიერ-კავკასიაში. სავალდებულო გლეხთა მიწების გამოსყიდვა ამ ჟამად ამიერ-კავკასიის მხარეში არ არის გავრცელებული; როგორც სახელმწიფო გლეხები, აგრეთვე ის გლეხები, რომლებმაც მიწები გამოისყიდეს, პოლიციის განკარგულებაში არიან. იმ წესებით, რომლების შემოღებაც მთავრობას უნდა, გლეხების საქმეები და ყო-

ველგვარი გლეხი სრულიად მომრიგებელ შუაკაცებისა და საგლეხო საკრებულოს განკარგულებაში გადავლენ.

◆ სამეურნეო ამხანაგობათა წესდება შეუფერებელი და უვარგისია სამეურნეო გლეხთა ამხანაგობათათვის: ამიტომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, როგორც „რუსკ. ვედ." სწერს, შესდგომია გლეხთა ამხანაგობებისათვის ცალკე წესდების პროექტის შემუშავებას.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ამ დღეებში თავ. დავით სარდიონის ძის ციციშვილისაგან მიიღო ორნაირი თესლი ჰიმალაიის ქერისა; თავ. ციციშვილს ეს ქერი წელს სოფ. ზემო-ხვედურეთში, საკუთარს მამულში დაუთესნია და მშვენიერი მოსავალიც მოსვლია. უპირატესობა ჰიმალაიის ქერისა ჩვენებურ ქერის წინაშე ის არის, რომ მის ფქვილიდგან გამომცხვარი პური ნოყიერი და უფრო სუბუქია სტომაქისათვის. სიმძიმითაც ჩვენებურ ქერზედ მძიმეა; ჰიმალაიის ქერი ხალისი მარცვალია, უნაჭუჭო მაშინ, როდესაც ჩვენებურის ქერის მარცვალი ქერქშია გახვეული; ამის გამო საქონლის საკვებადაც ერთი ორათ ხელ საყრელია ხალხისთვის. სხვათა შორის, ამ ჯიშის ქერმა გაშორებით უხვი მოსავალი იცის; ამ ჯიშის ქერის თავთავი ორის ჯურისაა; ერთს ჯურას თავთავზედ მარცვალი ოთხ-რიგად ჰყვება, მეორეს—როგორც ჩვენებურ ქერს—ორ რიგად; კარგი იქნება ჩვენებურმა მემამულებმაც ისარგებლონ შემთხვევით და ამ ჯიშის ქერის მოყვანას შეუდგნენ.

◆ როგორც ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული, ამ ჟამად კავკასიის მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის კანცელარიასთან მუშაობს განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სახელმწიფო ადგილ-მამულებას დამყორლნავ მოხელეთათვის განსაკუთრებული ინსტრუქცია. კომისიას თავმჯდომარეობს თვით მინისტრის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი. ეს კომისია ამ ცოტას ხანში უკვე დაასრულებს ინსტრუქციის შემუშავებას, რომელიც დაუყოვნებლივ ოფიციალურად ეცნობება ყველა მიწის მზომელ დასების უფროს საქმის მწარმოებლებს; ამ ახლად შემუშავებულ ინსტრუქციის პრაქტიკულად განხორციელებას მიწის მზომელ დასთა უფროსი საქმის მწარმოებელი შეუდგება მომავალ წელს, გაზაფხულზედ. როდესაც მიწის მზომელთა პარტიები დაიწყებენ სხვა-და სხვა მაზრაში სახელმწიფო ადგილ-მამულების აღნიშვნას.

◆ მოგვივიდა მე-XII № საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა" შემდეგის შინაარსით: 1) მეწისქვილე. ლექსი აკაკისა; 2) ხელთათმანები (თარგ.) ბეს. გაშაძისა; 3) მამულის სიყვარული გ. წყალტუბელისა; 4) მელიას თავგადასავალი, (დასასრული) ალ. ნათაძისა; 5) საათის დაკარგვა (თარგმანი) 6) პატარა მაიმუნი; 7) კაკბის გონება (თარგმანი) ს. დათეშიძისა; 8) ზამთარი, ლექსი განო ბარველისა; 9) ჭრელი სტვირი სამხიარულო მოთხრობა (თარგ.) ს. ციციშვილისა; 10) პატარა დედოფალი (დასასრული) ს. ციციშვილისა; 11) მინაისის ქალები (ოვიდიუსიდან) ა. ყუმისთაველისა; 12) მჭრილი ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, შარადა, რებუსი და ახსნა; 13) მთელის წლის სარჩევი და განცხადება.

◆ პანსიონში შესანახ ფულის შეუტანლობისა გამო ოც-და-ათამდე მოსწავლე დაითხოვა ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ და არა სასულიერო სასწავლებლისამ, როგორც შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი გუშინდელს №-ში.

◆ შაბათს, 14 დეკემბერს, ავჭალის ქუჩის სახალხო თეატრში სცენის მოყვარენი წარმოადგენენ 3 მოქ. ესპანიურიდან გადმოთარგმნილს პიესას „უბედურს ვარსკვლავზე", რომელიც ამას წინ ქართულ თეატრში წარმოადგინეს.

—

სამეურნეო საზოგადოების კრება

(დასასრული *)

თ-დ ი. გ. ჭავჭავაძემ განმარტა, რომ ყველგან, ჩვენშიც და ევროპაშიაც, კრედიტის გახსნა დამყარებულია ნივთიერ საწინდარზე. თუ-კი საწინდარი მოიპოვება, თუ-კი მამულდედული მაქვს, რასაკვირველია კრედიტის გახსნა ამ შემთხვევაში ადვილი მოსახერხებელია, მაგრამ თუ არც ერთი და არც მეორე არა მაქვს, ახლანდელ კრედიტის ორგანიზაციის პირობებით ამ უკანასკნელებს კრედიტი მოსპობილი აქვსთ, საქმე ისაა კრედიტი მას უნდა გაუხსნა, ვისაც საწინდარი და მამული არა აქვს, ასეთს კაცებს უნდა მისცე შეღავათი კრედიტის საშუალებით, თორემ თუ შეძლება მაქვს, კრედიტის გახსნა არაფერი დიდი ვაჟკაცობაა. ჩვენის აზრით კრედიტის გაცემის საქმეს სარჩულად უნდა დაედოს შრომის მოყვარეობა, ვინც შრომის მოყვარეა, ვისაც შრომის უნარი აქვს, მათზე გაცემული სესხი თავის დღეში არ დაიკარგება. შრომა, შრომის მოყვარეობა უფრო სანდო გარანტიაა კრედიტისა, სანამ რომელიმე ნივთიერი საწინდარი. წვრილი კრედიტის საქმე საზღვარგარეთაც, გერმანიაში, ისეთ პირობებში იყო, როგორშიაც ამ ჟამად ჩვენშია. კრედიტის განვითარების საქმეს არც იქ უწყობდა ხელს ხალხის თვითმოქმედება, მაგრამ საკრედიტო დაწესებულებანი ამის და მიუხედავად ჰაინც აღორძინდნენ გერმანიაში. შულცე დელიჩის მიერ დაარსებულ საკრედიტო დაწესებულებათ უმთავრეს საფუძვლად შრომის მოყვარეობა დაედო. შულცე დელიჩის საკრედიტო დაწესებულებანი დამყარებულია პაებისაგან შემოსულ თანხაზე, და არა მთავრობის დახმარებაზე. შრომის მოყვარეობა, თვითმართველობა და თვით-დახმარება—აი უმთავრესი საფუძველნი, რომელზედაც მჭიდროდ აგებულია შულცე დელიჩის საკრედიტო დაწესებულებანი. შულცე დელიჩის აზრით სახელმწიფო სრულიად არ უნდა ერეოდეს საქმეში. რაფაიზენი ფიქრობს, რომ საკრედიტო თანხის პაების საშუალებით შემოსულ ფულებზე დამყარება ეგოისტური მისწრაფებაა. ამ შემთხვევაში, რაფაიზენის აზრით, საკრედიტო დაწესებულების წევრებად ისევ კაპიტალისტები ხდებიან; ამიტომ სესხს ღებულობს მხოლოდ ის, ვისაც ეს კაპიტალისტები ენდობიან. რაფაიზენის საკრედიტო დაწესებულებებმა ეს მხარე თავიდან აიცილეს და უმთავრეს სესხის გაცემის საფუძვლად შრომის მოყვარეობა მიიჩნიეს; საოპერაციო რაიონი შეამცირეს, რის გამო თვითეული გამგეობის წევრი კარგათ იცნობს ფულის მსესხებელს. რაფაიზენის საკრედიტო დაწესებულებანი გრძელ ვადიან სესხს იძლევა, მსესხებლების მდგომარეობას ყოველს დროს, თუნდაც სესხის გატანის შემდეგაც, თვალყურს ადევნებს თუ ვინცობაა მსესხებელმა ნასესხ ფულს რიგიანი დანიშნულება არ მისცა, გატანილ ფულს უკანვე აბრუნებინებენ. ამ ტიპის დაწესებულებანი სახელმწიფო დახმარებას უარს არა ყოფენ, ურთიერთ შორის თავდებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დაწესებულებათათვის. შულცე-დელიჩის და რაფაიზენის საკრედიტო დაწესებულებათა შუათანა ადგილი უჭირავს ექიმი გაასის საკრედიტო დაწესებულებათ, რომელთაც ძრიელ დიდი ცხოველმყოფელობა გამოიჩინეს ცხოვრებაში. ჩვენი ქვეყნის ვითარება რომ განვიხილოთ ახლა ამ მხრით, დავინახავთ, რომ კავკასია საურთიერთო საკრედიტო დაწესებულებას და ლომბარდებს ვერ განშორებია, წვრილმანი კოოპერატიული ამხანაგობანი ვერა ხეირობენ. მიზეზი ამ სამწუხარო გარემოებისა ისაა, რომ ნასესხების ფულების გადახდის ვადა ძრიელ მოკლეა. გლეხ-კაცს ისეთს საქმისათვის აქვს ჩაჭიდილი ხელი, რომ ეს საქმე ბანკების ვადიანობას ვერ ეწყობა. სულ სხვაა ვაჭრის საქმე, ამ უკანასკნელს ექვსი თვის განმავლობაშიაც შეუძლიან დაიბრუნოს დახარჯული ფული და ბანკებთან პირ-ნათლად გამოვიდეს. გლეხი-კი სულ სხვა პირობებშია, მეურნეობის ვითარება ისეთია, რომ ამა თუ იმ ვადაზედ ფულის აბრუნება შეუძლებელია. მცოდნე კაცთაგან გამოანგარიშებულია, რომ პირუტყვის მოვლა-მოშენებაზედ დახარჯული ფული თავის სარგებლით მხოლოდ 18 წლის შემდეგ შესაძლოა დაიბრუნოს მწარმოებელმა. ექვსი თვის განმავლობაში რა უნდა მოახერხოს სოფლის მეურნემ, როგორ უნდა დაიბრუნოს საქმეში გაბანდული ფული! სესხის გაცემის ვადა 10 წლით მაინც უნდა განისაზღვრებოდეს. ამასთანავე საჭიროა, რომ სესხი თანდა-თანობით უნდა იქმნას გადახდილი. ამას დიდი მნიშვნელობა ექმნება გლეხისათვის. ჩვენ მიერ ყველა ზემო აღწერილ საკრედიტო დაწესებულებას საფუძვლად უდევს თვით-მართველობა, თვით-მოქმედება და თვით-დახმარება. თ-დ ვლ. მიქელაძემ-კი უმთავრეს ფაქტორებს სრულიად ყურადღება არ მიაქცია. ამისადამაგივრად თ-დი მიქელაძე ბიუროკრატიულ წეს-წყობილებაზედ გვითითებს ხელს, ჩემის აზრით თავ. მიქელაძის პროექტი უარ-ყოფილი უნდა იქმნეს. კრედიტი ცოცხალი საქმეა; თუ გინდათ ეს ცოცხალი საქმე ცოცხლადვე დარჩეს უთუოდ საჭიროა, რომ ცოცხალი, მოძრავი საფუძველი უნდა დაუდვათ სარჩულად. ამ გვარ ცოცხალ საფუძვლად უნდა ჩაითვალოს თვით-მმართველობა, თვით-დახმარება და თვით-მოქმედება. მთავრობის დახმარება საჭიროა მხოლოდ ფულით. სოფელი ღონიერია. ამიტომ მთავრობა ყოველთვის ენდობა სოფლელების ურთიერთ თავდებობას და ფულსაც მისცემს. თავ. ი. გ. ჭავჭავაძის სიტყვამ ძრიელი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა წევრებზე, ასე რომ დანარჩენ ორატორებს ახალი არა განუმარტებიათ-რა. თავმჯდომარეს წინადადებით, რადგან საგანი უკვე გამორკვეულად ჩასთვალეს, კენჭი უყარეს თ-დ ვლ. მიქელაძის პროექტს წვრილ კრედიტის ორგანიზაციის შესახებ. ხმის უმეტესობით თ-დ მიქელაძის პროექტი უარ-ყოფილი იქმნა.

კრება ღამის $1^1/_2$ საათზე დაიშალა.

---

*) იხ. „ივერია" № 266.

ჩვენებური ამბები

სვირი (შორაპნის მაზრა). აქეთ წელს გზების კეთებას შეუდგნენ და, მართლაც, გვარიანად გაკეთდა. რკინის გზის სადგურიდგან ერთი დიდი გზა უერთდება ბაღდადის და ამავე სოფლის სამმართველოს გზას. გარდა ამა გზისა, კიდევ გაიყვანეს სადგურიდგან მეორე გზა, რომელიც მიჰყვება მდინარე ყვირილის ნაპირს და შედის იქვე სოფელში. ეს გზა ძრიელ საჭირო იყო. მამასახლისმა ურჩია საზოგადოებას, ჯერ ეს ახალი გზა გავაკეთოთ და შემდეგ ძველი შევაკეთოთო. მართლაც, პირველად ახალ გზას დაადგნენ და სწორედ სოფლის გზის პირობაზედ კარგად გააკეთეს. შემდეგ დაადგნენ ძველის გზის კეთებას, მაგრამ ეს სულ სხვაფერ გაკეთდა, პირველზე გლახად და რომ დააწვიმა, გზაზედ დაყრილი ხრეშ-მიწა ტალახად იქცა. ამ ძველ გზას ყველა გულ-ცივად მოეკიდა და პირველს-კი ყველამ ხელი შეუწყეს და ჩინებულად გაკეთდა.

იუსტინე.

—

ჯუგაანი (სიღნაღის მაზრა). 3 დეკემბერს, შუაღამისას, საშინელი უბედურება დატრიალდა ჩვენს სოფელში. ორი ჰავანგებით გამოტენილი თამბაქოს ფარდული შთანთქა შეუბრალებელმა ცეცხლმა. ორსავე ფარდულში სამას ფუთზე მეტს თამბაქო დაიწვა, ამბობენ მტრის ხელითაო. დაზარალებულნი ჯუგაანშივე მცხოვრები გლეხნი არიან; საბა ელოშვილი, პატრონი პირველის ფარდულისა; სიკოლა ელოშვილი და ვანო ზედელაშვილი, პატრონნი მეორე ფარდულისა. საწყლებს, რაც რამ ებადათ და ნავალები ჰქონდათ, სულ ამ თამბაქოზე ჰქონდათ დახარჯული, იმ იმედით, რომ გავყიდით, მოვალეებსაც მოვიშორებთ და, იქნება, ორიოდე გროში ჩვენც გვერგოსო. ამ უბედურობის შემდეგ-კი ეს წვრილშვილი ხალხი ულუკმაპუროდ და უსახსროდ დარჩნენ ამ ცივ ზამთარში. ნეტავი ვინმე გამოჩნდებოდეს და ამ ბედკრულთ დახმარებას აღმოუჩენდეს.

—

კვირას, 8 დეკემბერს, დიდის ამბით გამოემშვიდობნენ ჩვენში ბოქაულად ნამყოფს თ. ნ. ერისთავს, რომელიც თავისივე კუთხე—დუშეთისაკენ იქმნა გადაყვანილი. თ. ნ. ერისთავის პატივისმცემლებმა მას ძვირფასი საჩუქრებიც მიართვეს. ტკბილ სიტყვების თქმას ხომ თვლა არა ჰქონდა.

—

ჩვენშიაც გახშირდა ქურდობა. დღე ისე არ გავა, არ გაიგონო მავანსა და მავანს მოჰპარეს ცხენი, ძროხა, ცხვარი, ინდოური. არ იცის კაცმა, როგორ დააძვრინოს თავი ამ დაუპატიჟებელ ღამის რაინდებს.

დავიწყებული.

—

რიონ-ვალმის მხრიდან. ტობანიერის საზოგადოების გლეხებმა ამას წინად შეადგინეს განაჩენი, რათა გადაესახლებინათ ციმბირში ამავე საზოგადოებაში მცხოვრებნი, [illegible] 17 კაცი, როგორც მავნე წევრნი საზოგადოებისა.

ისინი მაშინვე იქმნენ დაპატიმრებულნი, მაგრამ ერთი თვის შემდეგ მთავრობამ ისევ გაანთავისუფლა და გამოუშვა რადგანაც ხალხმა მათი გადასასახლებელი ხარჯი არ იკისრა. ეხლა მთავრობამ ხელ-ახლავ მისცა წინადადება საზოგადოებას, შეადგინათ განაჩენი, ან გადასახლების შესახებ ან სრულიად განთავისუფლებისა. ამის გამო ზედი-ზედ სამჯერ მოხდა კრება, რომელზედაც დაესწრო სამტრედიის ნაწილის ბოქაული. უკანასკნელი კრება იყო 8 დეკემბერს; საზოგადოებამ ერთხმად დაადგინა განათავისუფლონ ერთი და 6-კი გადაასახლონ ციმბირში. ყველამ ხელი მოაწერა განაჩენზედ და გასაგზავნი გზის ხარჯიც იკისრა. განაჩენი წარედგინა მაზრის უფროსს.

ბამბის „სეზონი" თავდება: კიდევ გასტანს ათიოდე დღე. ქუთაისის სამეურნეო საზოგადოებამ „კოლხიდამ" ამ მხრიდგან გაიტანა რვა ათას ფუთამდე ბამბა და ამით ძლიერ მოიმდურა წვრილმანი ვაჭრები; სამაგიეროდ ხალხმა შეიგნო ამ საზოგადოების დანიშნულება და სამერმისოდ, იქნებ, ასცილდნენ მოტყუილებას სოფელში მოტანტალე ურიებისაგან.

ბამბის „სეზონს" თან მოჰყვა „საშობაო ღორის სეზონი;" ყველა ასუქებს ორ-სამს ღორს, ზოგს თავისთვის, ზოგს გასაყიდად; ღორის ვაჭრებმაც იწყეს სოფელ-სოფელ სიარული. ფასებიც ძლიერ აწეულია შედარებით წარსულ წლებისა. სიმინდის ფასმა აიწია: ფუთი იყიდება დღეს 48 კაპეიკად, ღობით-კი 50 კაპ., ამინდები ცუდი გვაქვს.

მეტად ცივი დღეებია; სამაგიეროდ წელს-კი შეშა იაფია, რადგან ბევრმა ასჭრა ტყე ძირზედ და დასდო გასაყიდი შეშა. მომავლისთვის უნდა მოველოდეთ, რომ შეშა თან-და-თან გაგვიძვირდება, რადგანაც არა თუ ძირზედ მოსაჭერი, მოსაქნიც აღარ იქმნება.

ვლადი ბზვანელი.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა და მემამულეთა კრება.

(წერილი თელავიდგან)

(შემდეგი *)

1 დეკემბრის კრება დაიწყო დილის 9 საათზედ. დაესწრნენ იგინივე. ორი მანდილოსანი მოემატა.

წარსულ კრებაზედ შესახებ დელეებისა, ხვევებისა, რიყეებისა, სეტყვისა, ავადმყოფობისა, საქონლის ჭირისა და სხვა მავნებლობის წინააღმდეგ ბრძოლისა ერთხმად გამოითქვა შემდეგი აზრი: ყველა ეს სათითაოდ და სულ ერთად დიდ მავნებლობას აყენებს კახეთს. კერძოდ, რიყეებზედ ითქვა, რომ ტყეთა უწყებას გამოუკვლევია ორი ხევი: თურდო და კასისხევი, გადაუწყვეტია გარდი-გარდმო თხრილით შეიკავოს ამ ხევების სრბოლა და მუშაობასაც ამ ცოტა ხანში შეუდგება. სასეტყვო მორტირების სარგებლობა ჯერ უცილობლად დამტკიცებული არ არის, დღე და დღე მეცნიერება ახალ-ახალ საშუალებას იგონებს სეტყვასთან საბრძოლველად, იმისათვის უმჯობესია, ცოტა კიდევ მოვიცადოთ, მით უმეტეს, რომ არა გვაქვს შესაფერი კანონ-მდებლობა თავად-აზნაურ-

---

*) იხ. „ივერია" 266.

ფელეტონი

ალექსანდრე ბატონიშვილი

(ისტორიული ცნობა)

IV*)

რუსეთის მთავრობა, როგორც წინად, ისე ახლაც სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ხალხის ამჯანყებელნი მხოლოდ აქა-იქ გაფანტულნი, უკმაყოფილოდ დარჩენილი ბატონიშვილები იყვნენ და არა სხვა ვინმე. თუმცა ყველანი საშიშნი იყვნენ, მაგრამ მათ შორის ყველაზედ უფრო მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილი იყო საშიში და უფრო მძლავრი, რადგან ალექსანდრეს მთელი სპარსეთი თანაუგრძნობდა და მზად იყო მასთან ერთად რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ებრძოლა. ესე ყოველივე ნათლად გამოაშკარავდა ალექსანდრეს მიწერ-მოწერაში და მოქმედებაში.

მთავარ-მართებელმა გენ. პაულიჩიმაც მთელი თავისი გამჭრიახობა და მოხერხება ამ მხრივ მიმართა. ალექსანდრე ბატონიშვილის შეპყრობა და საქართველოდგან გაძევება დაამყარებდა, მისის აზრით, სრულს სიმშვიდეს მთელს ქართლ-კახეთში. ამიტომ ამ აზრის განხორციელებას დიდის ერთგულებით შეუდგა. მარკიზ პაულიჩიმ მისცა საიდუმლო ბრძანება თავის ქვეშევრდომ მოხელეებს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის დასაჭერად ეღონათ რამე. იმათ ნება ჰქონდათ, ბატონიშვილის შესაპყრობად ყოველგვარი ღონისძიება ეხმარათ. სადაც საჭირო იყო ძალა მოეხმარათ და სადაც ძალით არა გარიგდებოდარა, ტკბილის სიტყვით ემოქმედნათ; მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილი სათოფედ არ ეკარებოდა მოხელეებს და, ათასი ან ორი ათასი სპარსელი ჯარის-კაცი თუ არ ახლდა, არსადაც არ ადგამდა ფეხს.

გენერალმა რტიშჩევმა საყვედურით სავსე წერილი მისწერა ერთხელ, როდესაც დაიქანცა მისის დევნით და ვერსად ვერ იგდო ხელში. რტიშჩევი რომ იფიქრებდა საიდუმლოდ ჯარით დავეცემი იმ სოფელს, სადაც ალექსანდრე მეგულებაო, მაშინ ბატონიშვილი თავის ამალით ერთის ან ორის საათით წინ მთებს მიაშურებდა და რუსის ჯარს თვალიდგან ეკარგებოდა. „დიდი სიბრიყვე და გაბედულება არისო",—სწერდა გენ. რტიშჩევი ბატონიშვილს, „რომ ასე ულვთოდ და შეუბრალებლად ღუპავ შენს თანამოძმებს კახელებსაო. შენ ხარ დამნაშავე მათის დაწიოკებისა, მათის ამ გვარის ტანჯვა-წვალების და ბოროტმოქმედებისაო. ამას ღმერთი არ გაპატიებს, კაცმა რომ გაპატიოსო. მათი და მათის ცოლშვილის ცოდვა საფლავში არ დაგაყენებს შეუწუხლათაო.»

ამის პასუხად ბატონიშვილმა ალექსანდრემ გრძელი წერილი მისწერა გენ. რტიშჩევს და დაწვრილებით აუხსნა ყველაფერი. „საცოდავ კახელების აჯანყებას, როგორც სჩანს თქვენს ბარათში, მე მაბრალებთ,—სწერდა ბატონიშვილი, გენ. რტიშჩევს,—მართლა რომ საბრალონი არიან საწყლები. ნუ თუ თქვენი მათდამი მოქმედება კეთილშობილური და წესიერი გგონიათ?! ერთი მიბრძანეთ, რა არის აქ დასასჯელი და დასაძრახავი: ხალხს სურს თავისი ბატონიშვილი იბატონოს, ეს აზრი განახორციელოს, შეასრულოს. იბრძვის ამ საწადელის მისაღწევად და თქვენ-კი ყველას ლაპარაკის ნებას უსპობთ, მუშტს პირში სჩრით და სატუსაღოებში ალპობთ, ხოცავთ. ეს სამართალია?! მისაყვედურებთ, რომ ვითომ ამ გვარ ჩემს მოქმედებაში ღმერთი არ მწყალობს და რად ვიწუხებ ტყუილა უბრალოდ თავს, ან ხალხს რად ვაწუხებ. ესეც სიმართლეს მოკლებულია, რადგან თუ ღმერთი არ ერიოს ჩემს საქმეში, რად აჯანყდა ამდენი ხალხი, რად აღსდგა მთელი ქართლ-კახეთი თქვენ წინააღმდეგ?! მაშინებთ თქვენის ძლიერებით და სიმრავლით. მჯერა და მწამს კიდეც, რომ თქვენი ხელმწიფე ყოვლად ძლიერი და ყოვლად მოწყალეა, მაგრამ მიდის ჩვენი და ჩვენის ხალხის მდგომარეობის ამბავი თქვენის შემწეობით მათ იმპერატორებითის უდიდებულესობის ყურამდე თუ არა?! რასაკვირველია, რომ არა, და თუ მივიდა ოდესმე, ისიც ათასში ერთხელ თუ მივიდა. ბრალსა მდებთ, რომ ხალხში უთანხმოებას, ერთმანეთის შურსა და მტრობას ვზადებ. ესეც მტკნარი სიცრუეა, რადგან ამ მხრივ სწორედ თქვენა ხართ ხალხის მოღალატე და მტერი; მე-კი ტყუილ-უბრალოდ, სრულებით უსაბუთოდ მახვევთ ამ დანაშაულს თავზედ. თქვენს სიხარულს სამზღვარი არა აქვს, რომ მე ამ მდგომარეობაში ვიმყოფები. თქვენ გიხარიანთ ჩემი დაცემა, მაგრამ ღმერთია მოწყალე და შემბრალე დაცემულთა და ჩაგრულთა. რამდენი ახალ დაბადებულნი ყრმანი გასწყვიტა იროდე მეფემ იმ აზრით, რომ მათ შორის ქრისტეც მოჰყოლოდა, მაგრამ იმავე განგებამ დაიფარა უვნებლად ქრისტე ღმერთი. ქრისტე სრულებით დამნაშავე არ იყო, რომ იმდენი ყრმა გასწყდა. ყველა ისინი წმიდათა შორის შეირიცხნენ. ერთი გვიბრძანეთ, პატიოსანო მოხუცო, თუ არ ნამდვილი მამულის სიყვარული, ნეტა რა გაიძულებს სხვა ამდენ სასტიკ ბრძოლას და ყოველ-გვარ ტანჯვა-წვალების ატანას, რასაც თქვენ მიეცით თავი რუსეთიდგან ჩამოსვლის დღიდგან?! მაშ, რა ნება გაქვთ მე მისაყვედუროთ და დამძრახოთ, რომ ჩემის მამულისა და ქვეყნის ღრმა სიყვარულით აღჭურვილმა გავბედო და ერთხელ მაინც შემოვირბინო ცხენით ჩემა ქვეყანა? რა იქნება, რომ კიდევაც შევსწირო ჩემი თავი სარწმუნოებას, მამულს და დიდებულს ჩემს მამა-პაპათა სახელოვანს გვარეულობას? მისაყვედურებთ იმასაც, რომ მივეკედლე ისეთ ურწმუნო ხალხს, რომელიც მუდამ მოსისხლე მტერი ყოფილა ჩვენის ქვეყნისა და ვმოქმედობ იმათ სურვილის თანახმად. ეს-კი მართალია, მაგრამ ამასაც თავისი გასამართლებელი საბუთი აქვს. მე აქ ბევრი თანამგრძნობი მომეპოვება. ვცხოვრობ სრულებით თავისუფლად, ისე, როგორც შეჰფერის ჩემს გვარიშვილობას და მე ამას ძვირად ვაფასებ. თქვენ მეუბნებით, რომ ვითომ მე ყველასი მეშინიან: ჩემიანისა, სხვისიანისა, მტრისა და მოყვრისა, ერთის სიტყვით, არამც თუ ცოცხალი არსებისა, არამედ თვითონ ჩემის აჩრდილისაც-კი. მერე?! ნუ თუ არ იცით, რომ საშიშროებაში ჩავარდნილი ყოველთვის ფრთხილად არის და თავის საქმესაც საგანგებოდ აკეთებს?! ამასთან შიში ხშირად დარდების გამფანტველიცაა... მუდამ დღე, წლიდან წლამდე, ჩემის ქვეყნის მოშორებამ, მასთვის ფიქრმა და ვარამმა, ჩემი გული სალის კლდისაგან მოტეხილ ქვად გახადა და გაქვავებულს გულს მხოლოდ ტკბილი მამა-შვილური, მშობლიური ენა-ღა დაატკბობს და გამოაბრუნებს და არა ისეთი საყვედურით სავსე წერილები, როგორისაც თქვენა მწერთ. მე ძრიელ მაწუხებს ჩვენის სახლეულობის იმ გვარი მდგომარეობა, როგორშიაც იგი თქვენა გყავთ. თუმცა სპარსელები ყოველთვის ჩვენი მტრები ყოფილან, მაგრამ არასოდეს არ გვახსოვს, რომ ჩვენი სამეფო სკიპტრა მათ ჩვენთვის წაერთვათ. მართალია, ჩემს სიცოცხლეს სიცოცხლე არ ეწოდება, მაგრამ დაე ვიტანჯო, ვიტანჯო ხანგრძლივად ჩემის სამშობლოს სიყვარულისათვის. ეს მაინცა მაქვს სანუგეშოდ, რომ ვცხოვრობ აქ სრულიად თავისუფლად და ვარ პატივცემული ყველასაგან, ისე, როგორც ჩემს გვარეულობასა და ღირსებას შეჰფერის. აი, ჭეშმარიტი და გულახდილი აღსარება ჩემი თქვენს წინაშე. ჩაუკვირდით კარგად ამ აღსარებას და თქვენივე სვინიდისი გამხელთ ყველაფერს. გარდაცვლილებულის ჩემის ძმისწულის ლევანის ცუდად ხსენება და გინება თქვენს მაღალ ხარისხოვანებას არ ეკადრება და არც ღირსია ცუდად მოხსენებისა ის, ვინც თავი დასდო მამულის დაცვისა და სიყვარულისათვის. სხვათა შორის მწერთ, რომ დავბრუნდე ჩემს ქვეყანაში. კარგი, ვსთქვათ, დავბრუნდი. მერე რატომ არაფერსა მწერთ იმის შესახებ, თუ რა მერჩევა, რომ დავბრუნდე და მოვიდე. საიდან ვისაზრდოვებ, რა ჯამაგირები ექმნებათ ჩემს მშობლებს და სხვათ? მაცნობეთ ეს დაწვრილებით და მაშინ შეიძლება დამშვიდდეს ჩემი გული. მაშინ დაინახავთ ერთგულს ჩემს სამსახურს და მათ იმპერატორობითი

---

*) იხ. „ივერია" № 263.

ა, მოქალაქეთა და გლეხთათვის ერთნაირი საალდებულო საქმის შესრულებისათვის. დასასრულ, რებამ გადასწყვიტა, რომ ოსის და ნაცართან აპირძალდებლად საჭიროა ყველასათვის სავალდებულო წამლობა იყოს შემოღებული; ხოლო, რაც შეეხება საქონლის ჭირს, ამაზედ მსჯელობა გადადებულ იქმნა, რადგან მოწვეული ექიმი ჯერ არ მოსულიყო.

თავმჯდომარემ დააყენა საკითხი: შენახვა მეურნეობაში გაუმჯობესებულისა და წახალისება მიწის გასაუმჯობესებლად.

იმანვე დაუმატა, რომ მიწის გაუმჯობესობას დიდად აბრკოლებს მამულის გაფანტვა. მე მაქვსო სოფელ კურდღელაურში 90 დესეტ. და 27 ნაჭრად არის ეს მამული. როგორ გავაუმჯობესო, რომ ხელ-ფეხი შეკრული მაქვს დროებით ვალდებულ გლეხებთან კაუერლობის გამო. ასეთსავე მდგომარეობაში არიან მრავალნი სხვა მესაკუთრენიც. თვით სახასო გლეხთა მდგომარეობაც ასეთივეა.

ზ. კურიედოვი. საკითხი ის არის, საჭიროა, თუ არა წახალისებულ იქმნან სოფლის საზოგადოებანი და კერძო მესაკუთრენი რაიმე ჯილდოს მიცემით მიწის გაუმჯობესობისათვის.

ზ. კაზიძე. გაუმჯობესობა გლეხთა მამულისა ყოვლად შეუძლებელია: რას გააუმჯობესებენ, რაც არა აქვთ. თელავის მაზრაში სამგვარი გლეხობა არის: დროებით ვალდებულნი, მესაკუთრენი და სახასო გლეხნი. პირველთ სრულებით არა აქვთ მამული, გარდა თავ. დავ. ალ. ჭავჭავაძის გლეხებისას, რომელთაც ნადელი მიცემული აქვთ. რაც შეეხება დანარჩენთ, მათი ნადელი დაქუცმაცებულია აქა-იქა ნაჭრებად. ზოგი ნაჭერი 100 ოთხკუთხ საჟენის ზომისაა, ზოგი 150 და ძნელად იპოვით 600 საჟენიან ნაჭერსა. სხვა დროებით ვალდებულ გლეხებს მარტო სამოსახლო აქვთ და ნაბატონართან გაუყოფელი ერთი ბეწვა ვენახი. აბა, ამათ რა უნდა გააუმჯობესონ? ვენახი? ნახევარი ნაბატონარისაა, ისიც, ვინ იცის, იქნება იქიდგანაც გამოიყვანოს ნაბატონარმა, რომ დაინახავს გაუმჯობესებულს, ასე ფიქრობს გლეხი და საბუთი ასეთის ფიქრისა გავლილ ცხოვრებაში მრავლად მოეპოვება. დარჩა მარტო ეზო, რომელზედაც სახლი ძლივს ეტევა და ხშირად სხვა საჭირო შენობისათვის ადგილი არ მოეპოვება.

მესაკუთრენი სულ ცოტანი არიან, სადაც არიან, იმათ წახალისება არ ესაჭიროებათ.

სახასო გლეხნი ისე არიან შევიწროვებულნი ტყის უწყებისაგან, რომ თვითეული გაუმჯობესობა იწვევს გლეხისათვის ზარალს და არა მოგებას. გლეხს მიწებს შუა აქვს ყვარგისი ჯაგნარი, იგი ზრდის, უვლის, დარაჯობს, გაზარდა იქამდის, რომ საჭიროების დროს ფიჩხი,—შეშა მოიჭრება. მაშინვე გაუჩნდება ტყის მცველი, ჩამოართმევს, ეს ტყეა, ხელი არ ახლოთ.

ეს არის წახალისება? იმის მაგიერ, რომ მოუწონონ გლეხს გამჯელობა, ლუკმას პირიდგან აცლიან. აბა, როგორ დავიყოლიოთ და ან როგორადა წავახალისოთ ამ მდგომარეობაში მყოფი სახასო გლეხი მიწის გაუმჯობესობაზედ?

ზ. კურიედოვი. დახატული სურათი მეტად სამწუხაროა, მაგრამ, მაინც ცოტათი გადაჭარბებულად მომაჩნია. განა 100 ოთხკუთხ საჟენის გაუმჯობესება არ შეიძლება? ჯერ ერთი, რომ შეიძლება და მეორე, რომ ამ გაუმჯობესებას რითიმე უნდა დავეხმაროთ, რითიმე წავახალისოთ. ერთმა მუშამ საუფლისწულო მამულიდგან იყიდა ერთი დესეტინა მიწა. განზრახვა აქვს, პლანტაჟით ვაზი გააშენოს შიგა. მე დიდის სიამოვნებით ვახალისებ ამ საქმეში და შეძლების-და გვარად შემწეობასაც აღმოვუჩენ. განა ეს ურიგოა?

ზ. სტაროსელსკი. მართალია საკითხი მეტად დიდს წყლულს ეხება, რადგანაც აქ გლეხების განთავისუფლება ასე არ მოხდა, როგორც რუსეთში. აქ უმიწოდ გაანთავისუფლეს გლეხები, რაც დიდი შეცდომაა, ამის და მიუხედავად მიწის გაუმჯობესება შესაძლებელია. ყველამ უწყით, რომ კაპიტალისტური მეურნეობა ამ საქმეში უფრო ცუდს პირობებშია, ვიდრე მცირე მემამულე გლეხის მეურნეობა. გლეხს შეუძლიან თავისი მუშაობით გააუმჯობესოს მიწა. ამაზედ იმას არავითარი ხარჯი არ სჭირდება. თუ კახეთში ეს არა ხერხდება, ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ. უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს გაფანტვა მამულისა. აი მაგალითი: მე იჯარით ავიღე ერთი პატარა ნაჭერი მიწა. მოვხან ადრე გაზაფხულზედ, როგორც თესლი მოითხოვდა, შვრია დავთესე. სანამ გლეხი გაზაფხულის თესლისათვის—ქერისა და სიმინდისათვის—გუთანს გამოიტანდა, შვრია კარგად აჯეჯილდა. გამოვიდა გუთნები და ღამის მეხრეებმა გადაძოვეს ჩემი შვრია. ბევრნაირად ვეცადე შენახვას და ვერ შევინახე. ეს მოხდა იმიტომ, რომ სხვა-და-სხვა დროს მოგვიხდა მე და გლეხებს თესვა; შვრიის გვერდზედ ქერი და სიმინდი დაითესა. გაერთიანებულს მამულში ეს არ მოხდება, რადგანაც ერთს მხარეს ერთი თესლი დაითესება, მეორეს—მეორე და სხვ.

თ. ი. ჭავჭავაძე. სახასო გლეხთ შორის მიწა უთანასწოროდ არის განაწილებული. ზოგს გლეხს უჭირავს 40 დეს. ზოგს-კი არც ერთი დესეტ. საჭიროა ვითხოვოთ, რომ ახლად გაიყონ სახასო გლეხებმა მამულები.

ჩამოვარდა ლაპარაკი ძველს ჩვეულებაზედ, საბლოს მამულის ახლად გაყოფაზედ და გამოირკვა, რომ ეს ჩვეულება, ძველად დაკანონებული, დავიწყებულია.

ზ. ა. გოგნიევი. შემცდარი აზრია, რომ კაპიტალისტური მეურნეობა უფრო ცუდს პირობებშია, ვიდრე მცირე მამულიან გლეხისა, ან სხვისა. კაპიტალისტური მეურნეობა არის დიდი მეურნეობა მაგ., როგორც საუფლისწულო უწყების მეურნეობა. დიდ მეურნეობაში-კი უფრო იაფად ჯდება შემუშავება და სხვა ყოველი სამეურნეო საქმე, ვიდრე მცირე მეურნეობაში. ეს იყო და არის მთავარი მიზეზი მამულების ერთის ხელში მოგროვებისა (კონცენტრაცია).

დანდუროვი. ჩვენი მსჯელობა სხვა და სხვაობს. სჯობს ავიღოთ ერთი საგანი და იმაზედ ვილაპარაკოთ. აი, თუნდა დროებით ვალდებული გლეხები და მესაკუთრენი. თუ წავახალისებთ მესაკუთრეს, მაგ. ვერმიშოვს, რომლის მევენახეობა საქებია, და რომელსაც ჯიბე სავსე აქვს საქები მევენახეობის წყალობით, ეს ხომ ხელს შეუწყობს. დღეს თუ 25 დეს. ვენახი აქვს, ხვალ ერთი-ორად აქციოს თავის მეზობელი მევენახეების ხარჯზედ, დღეს თუ ცოტათია გაბატონებული თავის უბანში, ხვალ მისი საბატონო და ბატონობაც გაიზარდოს. განა ეს სასურველია და სანატრელი? თუნდა სასურველიც იყოს, რასა ვხედავთ მის მეურნეობაში საზოგადოდ სასარგებლოს, რომ ხელი შეუწყოთ? თუ ძმათა მოყვარეობით მოგვდის, რაში ვხედავთ იმას, გაჭირვებულს რომ მივეშველნეთ, ჩვენის წახალისებით?

თუ წავახალისებთ დროებით-ვალდებულს გლეხსა, ამ წახალისებას ხომ წინ უნდა უძღოდეს საქები მისი მეურნეობა. რით გააუმჯობესოს თვისი დღეს მამა-პაპური მეურნეობა,—განა მარტო გაუმჯობესობის სურვილია საჭიროა ამისათვის? არა, იმას ამისათვის ბევრი რამ უნდა იმისთანა, რაც არა აქვს. ვინ მისცემს ყველა ამასა, თვითონ ხომ ისედაც ნახევარზედ მშიერია? ამასთან არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ წახალისებას ბევრი არა სასურველი თვისება მოსდევს. ამიტომ ამ შემთხვევაში ცხოვრების მსვლელობა უნდა სწარმოებდეს ბუნებრივ, რომ როგორც რკინა ცეცხლში გამოწრთობით, იგიც შეიქმნეს ბუნებისა და ადგილობრივი პირობების წინააღმდეგ გამარჯვებული მებრძოლე.

ამასთან წახალისების ნიმუშებიც უნდა დავასახელოთ. ბ-ნ შავროვის საქები ფურცლებით მოფენილია თელავი, მე, ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა, გამოვიკითხე და არც ერთი არ აღმოჩნდა ისეთი საქები ფურცლის პატრონი, რომელსაც საკუთარი ჭია ჰყოლოდეს, ყველას სხვისი ნაყოლი ჭიის პარკი უგზავნია და ამ ხერხით მიუღია საქები ფურცელი.

ყველაზედ მეტად ამ საკითხის გამო საყურადღებოა ჩვენი თავად-აზნაურობა. მოგეხსენებათ, მთავრობა დიდი ხანია, ყოველის ღონისძიებით სცდილობს, როგორმე ფეხზედ დააყენოს იგი. ამ ღონის ძიებათა შორის წასახალისებელიც ბევრი იყო და უფრო უკეთესი ამაზედაც. მთავრობამ მრავალგვარი შეღავათი მიანიჭა, მრავალჯერ ვალებიც აპატია, მაგრამ ერთხელ დაღმართზედ დაქანებული თავად-აზნაურობა ვეღარ შეაყენა, დღეს თუ ხვალ უფსკრულში გადავარდნას ლამის. მე დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რა იქმნებოდა, თუ მთავრობა არავითარის შეღავათით და არც წახალისებით არ დახმარებოდა, მაგრამ გუნებაში-კი ვფიქრობ, რომ უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა, ვინც ბრძოლას ცოცხალი გადაურჩებოდა.

თავმჯდომარე. წახალისებას უეჭველად მოსდევს სასარგებლო ნაყოფი. ბელაქანში არის ერთი მემამულე აჯი-იზმაილ-ოღლი, რომელმაც გააშენა ხეხილის ბაღი, იგი წახალისა ამაზედ სამეურნეო საზოგადოებამ, აჯი-იზმაილ-ოღლი წახალისდა, უმატა მხნეობას, უფრო გააუკეთესა და მისი ბაღი სწორედ სამოთხედ გადაიქცა. ეს შედეგი იყო წახალისებისა. ამ ბოლოს დროს სახელმწიფო მამულების გამგებელი ბეკი გამოედავა აჯი-იზმაილ-ოღლის და გამოუცხადა, შენი ხეხილის ხეები აქედამ აალაგე, მამული სახელმწიფოა, საჭიროა ჩვენთვისაო. ესეც არის ნიმუში წაუხალისებლობისა.

დანდუროვი. რაც შეეხება იმას, რომ გაუმჯობესებულ სახელმწიფო მიწებს ართმევენ იმ კერძო პირთ, რომელთაც კანონით ეკუთვნით, მაგის მიზეზი სულ სხვა არის, არ გამოიხატება სიტყვით „წაუხალისებლობა“, როგორც ბრძანებს ჩვენი თავმჯდომარე. ბ-ნს ასლანოვს მიცემული ჰქონდა ბაღის გასაშენებლად სახელმწიფო მიწა, რომელზედაც იმან დახარჯა 20 ათასი მანეთი, გააშენა საუკეთესო ბაღი, რომელმაც უკვე ნაყოფის ძლევა იწყო. დაინიშნა კომისია შესამოწმებლად და იმ დასკვნისათვის, რომ, როგორმე მიწა განთავისუფლებინა ასლანოვისაგან. ხები 9 წლისანი არ არიან, ზოგი 3 წლისაო.––გამოუცხადეს ასლანოვს,—შენი ხეები აალაგე, იმ ადგილზედ ჩრდილოეთიდგან მოსულები უნდა დავასახლოთო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ აქ წახალისება და წაუხალისებლობა რა შუაშია? არც აჯი-იზმაილ-ოღლის ბაღი ჩაითვლება შედეგად წახალისებისა. ამაში სულ სხვა ფაქტორები მოქმედობდნენ, რომელთაგან მე ერთს დავასახელებ და სრულიად საკმარისად მიმაჩნია. ეს ბაღი გაშენდა მაშინ, როცა ბაქოს აღყავებამ უმაღლესს წერტილს მიაღწია, დაბადა მილიონების პატრონი თათრები. ამათაც მოინდომეს იმისთანა ბაღები. გაუხდნენ აჯი-იზმაილ-ოღლის მუშტრებად, ნაყოფსაც ისინი ყიდულობდნენ და ნამყენსაც. როცა მილიონების პატრონები გემუშტრებიან, ადვილად შეგიძლიან ფეხზედ წამოდგომა. აქ მთავრობის წახალისებას მნიშვნელობა არა აქვს, მილიონების ნატეხ-ნამცეცები უფრო ბეჯითად მოქმედებენ.

ნადიკვრელი.

უცხოეთი

ინგლისი. გაზეთ „Pall Mall Gazette“-ში მეტად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ჰიბრალტარის სამხედრო მნიშვნელობის შესახებ.

წერილის ავტორი ამბობს,—ჰიბრალტარს სწორედ ეხლა ეძლევა ინგლისისათვის დიდი მნიშვნელობა, რადგან საფრანგეთი ბიზერტაში აშენებს პირველ ხარისხოვან ნავთ-სადგურსა, რუსეთი ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს შავი ზღვის ნავოსნობის გასაძლიერებლად და გერმანია ხომ მოწადინებულია ყველა ზღვებზედ პირველობა დაიჩემოსო.

დიაღ, ინგლისმა, რაც უნდა გაუხდეს, უნდა შეარჩინოს ჰიბრალტარი, მაგრამ საქმე ისაა, რომ დიდი ხიფათიც მოელის.

ჯერ ერთი ისაო,—ამბობს ავტორი—რომ ესპანიელები მტრულად უყურებენ ინგლისს, და მეორეც—ეხლანდელი ზარბაზნებიც მეტად შორსა სწვდებიანო. ესპანიელებს სძულთ და ეჯავრებათ ინგლისელები განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ესპანია-ამერიკის ომის დროს ინგლისი არამც თუ ზნეობრივს, ქონებრივს დახმარებასაც-კი აწვდიდა ამერიკასაო. ეს მუხანათური საქციელი ინგლისისა არც ამოსულა და დიდხანს კიდევ არ ამოვა ესპანელთა გულიდგან. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ინგლისის საზოგადოებას. „თუ-კი პატარა ისპანია არ მოერიდა და პირდაპირ შეება ისეთ სახელმწიფოს, როგორიც შეერთებული შტატებია, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ისეთისავე გაბედულობით გაუმკლავდება იგი ძლიერს ინგლისსაც“.

ესპანელები მუდამ უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ჰიბრალტარი—ეს საუკეთესო ნაწილი მათის სამფლობელოისა—უცხო სახელმწიფოს ხელშია. გულის სიღრმეში ყოველს ისპანელს ის აზრი აქვს დამარხული, რომ ჰიბრალტარი მხოლოდ მათი საკუთრებაა და არა სხვისი... თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ახალის სისტემის ზარბაზნებისათვის თითქმის აღარ არსებობს სიშორე, უნდა გამოვტყდეთ, რომ ინგლისის მდგომარეობა ჰიბრალტარში მეტად საიმედოა.

მართლაც და ის მანძილი, რომელიც ჰყოფს სიერრა-კარბონერას—ესპანელთა გორას ინგლისის კლდის ჩრდილოეთით—და ინგლისის სამხედრო გემებს, რომელნიც სდარაჯობს ნავთ-სადგურს,—1,620 მეტრს არ აღემატება (თითქმის ვერს ნახევარია).

სან-როკი, რომელიც [illegible] ღლობზეა გაშენებული, მხოლოდ 7,200 მეტრით ჰშორავს ბოღაზსა; მეორე მხრითაც ასეთსავე მანძილზეა გაშენებული ქ. ალგეზირასი. გარდა ამისა ალგეზირს თან აკრავს ისეთი მაღლობები, რომელზედაც ჩინებულად მოთავსდება თვით უდიდესი ზარბაზნებიც-კი.

რადგან ეხლანდელი ზარბაზნები სრულიად თავისუფლად სცემს 9,000 მეტრის მანძილზედ, ცხადია, რომ, თუ ესპანიამ ზემოხსენებულ ადგილებზე ახალ სისტემის ზარბაზნები ჩაამწკრივა, ჰიბრალტარს საძრავს არ მისცემს, სრულიად ხელში დაიჭერს. გარდა ამისა ზემოდ ჩამოთვლილ ადგილებს ისეთი მოხერხებული მდგომარეობა აქვთ, რომ იქიდგან გამონატყორც ყუმბარას ვერც ერთი ბოღაზში მდგომი გემი ვერ დაემალება მაშინ, როდესაც ინგლისის ციხიდგან ერთი ტყვიაც არ მოხვდება იმ მაღლობებზე გამაგრებულთ, თუ მცოდნე და გაგებიანი უფროსები ეყოლათ ხელმძღვანელად. ეხლა მაინც, როცა უკვამლო თოფის წამალი შემოვიდა ხმარებაში, ინგლისის მეციხოვნენი (ჰიბრალტარისა) ვერც-კი მიხვდებიან, საიდან დაუშენს მტერი ყუმბარას.

ჩვენის აზრის წინააღმდეგ მხოლოდ იმისთქმა შეიძლება, რომ ესპანიას არ მოეძევება საჭირო თანხაო, მაგრამ განა შეუძლებელია, რომ ესპანია დაუმეგობრდეს და დაუკავშირდეს ისეთ ფულიან სახელმწიფოს, რომელსაც ესპანიაზე არა ნაკლებ ეჯავრება ინგლისი?“

ნარკვევი

მკითხველს მოეხსენება, რომ ამ ჟამად მთავრობა მოწადინებულია გამოიკვლიოს და კიდევაც იკვლევს იმ მიზეზებს, რომელთა წყალობით დაცემულია სოფლის მეურნეობა, როგორც რუსეთში საზოგადოდ, ისე ჩვენში კერძოდ. ერთს უმთავრეს მიზეზად ასახელებენ, და სრული საფუძვლიანიცაა, იმას რომ სასოფლო სკოლა უნაყოფოა მეტ-ნაკლებობით, არ ანვითარებს გლეხობას, არ აძლევს ცოდნას, არ გამოჰყავს მისი გონება ვიწრო ფარგლიდგანაო. ეს მიზეზი საქართველოში ორკეცი და სამკეცი ძალით მოქმედებს. მთავარი მიზეზი ამისი გახლავთ ისა, რომ სწავლება ჩვენებურს ორივე უწყების სახალხო სკოლებში სწარმოებს, თითქმის პირველი ხნიდგანვე, გაუგებარს უცხო ენაზე. რუსეთის სახალხო სკოლას ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს ჩვენებურს სკოლის წინაშე, რადგანაც იქ მთელი სწავლება მიმდინარეობს დედა-ენაზედ. ამ დაბრკოლების თავიდგან ასაცილებლად „ივერიამ“ ორჯელ-სამჯერ დაასახელა შემდეგი რეორგანიზაცია ჩვენებურის სახალხო სკოლისა: სამის წლის კურსის მაგიერ დაწესდეს ოთხის წლის კურსი, როგორც ეს არის უკვე მიღებული განათლების სამინისტროსა და უწმინდესი სინოდისაგან შესახებ იმ სკოლებისა, სადაც უმეტეს ნაწილად სწავლობენ არა რუსნი. პირველს სამს წელიწადს სწავლება მოეწყოს დედა-ენაზედ და ამ რიგად გათავდეს ყველა საგნები. რუსული ენა ამ დროს ისწავლებოდეს როგორც კერძო საგანი. მეოთხე წელიწადს-კი ყველა საგნები გამეორებულ იქმნან რუსულს ენაზედ და ამ უკანასკნელს წელიწადს ქართული ენა ისწავ-

უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ მორჩილებას. მანამდის-კი ჩემს სახეს ვერ იხილავთ *)“.

ამ გვარის სიტყვებით აიმედებდა ბატონიშვილი მთავრობას, მაშინ, როდესაც სპარსეთის მოხელეებს და აბბაზ-მირზას სულ სხვა გვარ შინარსის წერილებს უგზავნიდა. ერთხელ ბატონიშვილის გაგზავნილი ჯაშუშები, რომლებსაც ბატონიშვილის მიწერილი ბარათები, მიჰქონდათ სპარსეთში, შეიპყრეს რუსებმა და მთელი მისი საიდუმლო მოქმედება შეიტყეს.

გენ. რტიშჩევმა დიდხანს არ მისცა ბატონიშვილს პასუხი იმის წერილისა. განვლო კიდევ კარგა ხანმა და რტიშჩევმა ბოლოს მისწერა: „არ უნდა გაგიკვირდეს, თქვენო ბრწყინვალებავ, რომ თქვენის წერილის პასუხი ასე გვიან მოგეცით. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან წინანდელი ჩემი წერილებიც ბოროტად მოგიხმარიათ. თქვენი მდგომარეობა სწორედ იმ გაჭირვებულ კაცის მდგომარეობას ემზგავსება, რომელიც იხრჩობოდა და ხავს ჰკიდებდა ხელს, ეგონა შემიმაგრებსო, მაგრამ ის-კი არ იცოდა საბრალომ, რომ იმ ხავსიანად უფსკრულში ჩაინთქმებოდა. სპარსელებისადმი თქვენი მიკედლებაც სწორედ ამ გაჭირვებულ კაცის მდგომარეობას ჰგავს. თქვენი კავშირი სპარსეთთან და თითქო გულახდილი ალსარება ჩემთან, ნათლად ამტკიცებს თქვენის ხასიათის სიდინჯესა და პატიოსნებას. თქვენი წერილი აბბას-მირზასთან გაგზავნილი დღეს ჩვენს ხელშია. ეს წერილი და ჩემთან მოწერილი წერილი ერთ და იმავე დროს არის დაწერილი. იმ დროს, როდესაც მე მთხოვდი რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებას, აბბას მირზას სულ სხვას ჰპირდებოდი, იმას სიტყვას აძლევდი, რომ სპარსეთის მთავრობისათვის მუდამ მზადა ვარ სისხლი დავღვაროო. ეს არის თქვენი პატიოსნური და გულ-ახდილი ალსარება ჩვენს წინაშე? ამ ორმა თქვენმა წერილმა, უნდა გამოტეხილი გითხრათ, მაიძულა სრულებით გამეწყვიტა თქვენთან მიწერ-მოწერაც და ყოველგვარი კავშირიც, მაგრამ, მერწმუნეთ, მებრალებით. მებრალებით იმიტომ, რომ არ იცით, რას ჩადიხართ; მერე შეიძლება კიდევაც ინანოთ, მაგრამ გვიანღა იქმნება. დაიხედეთ თქვენს თავზედ, რასა ჰგევხართ? რას ჰგავს თქვენი მაგგვარი ცხოვრება?! ნუ-თუ არ გირჩევნიათ რომ მოხვიდეთ ისევ ჩვენთან და იცხოვროთ ისევე უზრუნველად, როგორც სხვა თქვენის ოჯახის შვილები სცხოვრობენ, ყ-დ მოწყალე ჩვენის ჩვენის ხელმწიფის მფარველობის ქვეშ?! თქვენა მწერთ, რომ გაცნობოთ, რანაირად მიგიღებთ, რომ გადმოხვიდე, ან რა ჯამაგირები ექმნება თქვენს მხლებლებს. ამის შესახებ მოგცემთ პატიოსან სიტყვას, რომ თუ ინებებთ და მოხვალთ ისევ ჩვენთან, მიგიღებთ ისე, როგორც თქვენს გვარიშვილობას შეჰფერის, თქვენს მხლებლებსაც შესაფერი ჯამაგირები დაენიშნებათ. ტფილისში გექნებათ მონიჭებული სრული თავისუფლება და დაგენიშნებათ შესაფერი პენსია. წარსულში რაც იყო, ყველაფერს დავივიწყებთ და ახალ ცხოვრებას შევუდგებით. მერწმუნეთ, რომ ბევრს, ძრიელ ბევრს მოიგებთ, თუ მოხვალთ და ჩემს სიტყვებს დაიჯერებთ.“ *)

ამის პასუხად ბატონიშვილმა მისწერა: „სრული დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ პატიოსანი ბრძანდებით. იწერებით, რომ თუ გადმოვალ თქვენსკენ, სრული თავისუფლება მექნება თქვენგან მონიჭებული. მე მხოლოდ ერთის ღმერთისა მეშინიან და იმაზედ ვსასოებ. მეტი ჩემი შემშინებელი ჯერ არავინ გამოჩენილა, მხოლოდ მსურს დავათავო ეს დაუსრულებელი ბრძოლა და სისხლის ღვრა ქრისტეანთა შორის; დავამყარო მათ შორის სიმშვიდე და წყნარი ცხოვრება. თუმცა ყველაფერს, რასაც თქვენა მწერთ, ქრისტეანულის გულის სიწმინდით მეუბნებით, ამ გვარ გრძნობას იცოდეთ, რომ ქრისტეანული სიყვარულიც თან უნდა მოსდევდეს. მაგრამ ეს-კი დიდად საეჭვოდ მიმაჩნია, რადგან იმ დროს, როდესაც თქვენ ამ გვარ ტკბილ სიტყვებით მიხვევთ თავს და მიტყუებთ თქვენსკენ—ნაბრძანები გაქვთ ყველგან, რომ, სადაც მნახონ შემიპყრან და დამაპატიმრონ. მაშინ დავრწმუნდები, რომ თქვენ გულის—წმინდით მელაპარაკებით, როდესაც თქვენს სიტყვებს წერილობითის საბუთით დაამტკიცებთ, მომცემთ წერილობითს პირობას, რომ უენებლად და ჩემ შესაფერად ვიცხოვრებ თქვენის მთავრობის მფარველობის ქვეშ. აი ჩვენმა ყურ-მოჭრილმა მონობამ თქვენს წინაშე სადამდის მიგვიყვანა?! ყველა მეზობელ სახელმწიფოების სასაცილოდ გავხდით და ეს სულ თქვენის მთავრობის ბრალია, იმის ბრალია კიდევ, რომ თქვენცა და ჩვენც ერთის სარწმუნოებისანი ვართ. ეს თქვენი ამ გვარი მოქმედება ამტკიცებს ქრისტეანულს სიყვარულს?! სადღაა იგი?! არსად. თქვენის შემწეობით ამგვარი სიყვარული გაჰქრა-აღმოიფხვრა ხალხის გულის სიღრმიდგან! თ. დიმიტრი ორბელიანის წერილი ლახვარივით მოხვდა ჩემს გულს და განგმირა იგი. 14 მარტს ამა წლისას მომწერა, რომ მე შემეწყვიტა თქვენთან ყოველგვარი მიწერ-მოწერა. რას ნიშნავს ეს, მე ვერ გავიგე! ამ გვარი საქციელი არც ჩემს ხასიათს შეეფერება და არც ჩემს ღირსებას. ჩემთან გამოგიგზავნიათ ბარათით თავ. ვაჩნაძე და ზაქარია ჯორაშვილი. არც ერთი ჩემთან არ მოსულა. თუ დაჭერის შიშით ვერ მოვიდნენ ჩემთან—ძრიელ შემცდარან, რადგან არსად არ არის მიღებული, რომ გამოგზავნილ კაცებს აკავებდნენ, ან და ცუდათ ეპყრობოდნენ. ამას გარდა ეგ კაცები მე თვითონ დავიბარე და მიკვირს, რატომ არ მოვიდნენ ჩემთან. თქვენ მწერთ, ერთსა და იმავე დროს მე სულ სხვა მომწერეთ და აბბაზ მირზას—სხვაო. ეს მართალი არ არის. დაუკვირდით კარგად მაგ წერილებს და დარწმუნდებით, რომ ეგ წერილები სულ სხვა-და-სხვა დროს არის დაწერილები. ტყვეების შესახებ ის უნდა გაცნობოთ, რომ ჩვენ არ ვფიქრობთ, თუ კიდევ ცოცხალნი არიან თქვენთან ჩვენი ჯარის-კაცები. თქვენი აფიცრები, უნტერ-აფიცრები და ჯარის კაცნი-კი ყველანი ცოცხალნი არიან და, თუ თქვენ გამოუშვებთ ჩვენებს—ჩვენც დაგიბრუნებთ თქვენს აფიცრებს და ჯარის-კაცებს. ჩვენი ჯარის-კაცები გამოუშვით თიონეთში და თქვენსას გამოგიგზავნით ჩარგარში. ამის იქით ცარიელ მიწერ-მოწერას მეც ვსპობ და გთხოვთ, თუ მომწეროთ რამე, მასთან წერილობითი ხელშეკრულება გამომიგზავნეთ და მაშინ დამშვიდდება ჩემი გულიც და მანდ გადმოსვლასაც მხოლოდ მაშინ ვიფიქრებ. სხვა-და-სხვა სანდო კაცთა შემწეობით შევიტყვე, რუსეთის სახლის ზოგიერთი საიდუმლოები ჩვენდა შესახებ. ყოვლად მოწყალე ხელმწიფეს უმოწყალებია ჩვენთვის ორი პოლკი ჯარის-კაცი და ნება, ვისარგებლოთ და ვმართოთ მთელი საქართველო. თქვენთვის-კი უბრძანებია რუსეთშივე დაბრუნება და საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება. ამგვარი ჩვენდამი მოწყალება თქვენ შეგშურდათ და ამის წინააღმდეგი მიწერ-მოწერა გაგიმართავთ. ჩვენ კიდევ ბევრი საიდუმლო ვიცით რუსეთის მართებლობისა, მაგრამ დრომდე ვფარავთ და არაფერს არ ვიტყვით. თქვენ ამ შემთხვევაში ნაცარში გახვეულ ობოლ ნაკვერჩხალს ემზგავსებით. თუ კაცმა არა იცის-რა და ფრთხილად არ გამოქექს ნაცარს ხელებს დაიწვავს. როგორ შემიძლია თქვენის გულის სიწმინდეში ეჭვი არ შევიტანო, როდესაც ასე შურის თვალით უცქერით ყ-დ მოწყალე ხელმწიფის ყურადღებას ჩვენდამი?! კმარა ამდენი სიცრუე და ორ-პირობა. გამომიგზავნეთ სანდო და პატიოსანი კაცები, დამარწმუნეთ, რომ თქვენი დაპირება პატიოსნურია და მაში დიდის სიამოვნებით დავბრუნდები ჩემ სამშობლოში“. *)

თეოფილე ხუსკივაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იქვე, გვერდი 370.

*) გენერალ რტიშჩევის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილთან 1813 წ. 17 მარტს.

*) ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი გენ. რტიშჩევთან 39 აპრილს 1813 წელს.

ლებოდეს, როგორც კერძო და სავალდებულო საგანი. მსგავსივე პროგრამა შეუმუშავებია ტფილისის სამეურნეო საზოგადოების საგანგებო კომისიას და ამ ცოტას ხანში იქმნება განხილული განსაკუთრებულს სხდომაზე. სამაზრო კრებებზედაც, სადაც დასწრებიან ადგილობრივნი თავად-აზნაურნი, მემამულენი, პედაგოგნი ჩვენებურნი და ჩრდილოელნი, თითქმის ერთხმივ გამოუთქვამთ ის აზრი, რომ სახალხო სკოლა მხოლოდ მაშინ დაეხმარება ხალხის განვითარებას საზოგადოდ და მეურნეობის აყვავებას კერძოდ, როცა მასში სწავლება უმთავრესად დედაენაზედ იქმნებაო და მშობლიურს ენას მიენიჭება ჯეროვანი უფლებაო. ეს, სხვათა შორის, სჩანს იმ კორესპონდენციებიდგან, რომელიც დაიბეჭდა გუშინ ჩვენს გაზეთში და „ნოვოე ობოზრენიე“-ში.

ამავე საგანს შეეხო სამის დღის წინად „ცნობის ფურცელი“. სამწუხაროდ, მან დაასახელა, იქნება უნებლიედაც, ისეთი პაწია პალატივი, ისეთი მცირედი ცვლილება, რომელსაც საარსო გაუკეთესოება არ შეუძლიან. ავტორი წერილისა ამბობს, სხვათა შორის:

> «მიუცილებლად საჭიროა, თავდაპირველად მაინც მანამ ყმაწვილები დედაენაზე წერა-კითხვას არ შეისწავლიან, და, ცოტაც არის, გონება არ გაეხსნებათ, სწავლა ყმაწვილებისათვის გასაგონს ენაზედ სწარმოებდეს».

ესეთი წესი ეხლაც-კი არსებობს. ბევრს სკოლაში პირველს ხანს დედაენის შემწეობით მიჰყავთ სწავლება; მაგრამ არაფერი გამოდის და ვერც გამოვა. აქ საჭიროა უფრო საარსო ცვლილება, უფრო რადიკალური ღონის-ძიება. ამისთანა ღონის-ძიებას წარმოადგენს, როგორც უკვე მოგახსენეთ, მთელის ელემენტარულის კურსის შეთვისება, ყველა საგნების სწავლება დედა-ენაზედ, და, გარდა ამისა, თვით ამ ენის, როგორც ცალკე საგნის, დაყენება ჯეროვანს ფეხზედ. ამავე დროს ჩვენი გეგმა უზრუნველ-ჰყოფს თვით სახელმწიფო ენის შეთვისებასაც, რამდენადაც-კი ეს შეთვისება შესაძლებელია დაბალს სასწავლებელში, რადგანაც ეს ენა ისწავლება, როგორც ცალკე საგანი, მთელის ოთხის წლის განმავლობაში, და ამის გარდა, მეოთხე წელიწადს მთელი პირველ დაწყებითი კურსი, საარსო ნაწილების მხრივ, იმეორება ამ უკანასკნელი ენის შუამავლობით.

ეს გეგმა შესაძლებელია შეწყნარებულ იქმნას მთავრობის მიერ, თუ შუამდგომლობა სამეურნეო საზოგადოების მიერ გულიანად იქმნება აღძრული და საფუძვლიანად დასაბუთებული.

ამაზე მეტს ჩვენ არც წინ ვითხოვდით და არც ახლა ვითხოვთ, რადგანაც სწორედ ამისთანა შემთხვევაზეა ზედ გამოჭრილი ბრძნული ქართული ანდაზა: „ბევრის მძღომი ცოტასაც დაჰკარგავსო“. არც ლათინური ანდაზა უნდა დავივიწყოთ: „რომი ერთს დღეს როდი აშენებულაო“.

—

„Рус. Вѣд.“-ში ვკითხულობთ:

> დადგება თუ არა შემოდგომა, რუსეთის ყველა კუთხიდგან მოდიან მოსკოვში „კურსისტკები“. ვინ გინდა, რომ მათ შორის არ იყოს: თავადი, აზნაური, გლეხი, მღვდლის, ვაჭრის ქალი; ყველა არეულია ერთმანეთში, ყველა სწავლისა და სინათლისაკენ მიისწრაფვის, ყველა განათლებისაკენ მიიზიდება. როგორც იქმნა, შეაგროვეს გზის და ლექციების მოსასმენად ფული და მიაჰყდნენ სატახტო ქალაქს უწიგნოდ, უთილ-ტანისამოსოდ, იმ იმედით, რომ საკუთარის ძალ-ღონით და თავგამოდებით, საზოგადოების დახმარებით ყოველგვარ დაბრკოლებას დავსძლევთო.

მერე რა გარემოებაში უხდებად მათ ცხოვრება, ბრძოლა, ლექციების მოსმენა, სიბნელის გადათელვა? აი ეს ვითარება:

> მარტო ქვრივთა და ობოლთა თავშესაფარში 180 „კურსისტკა“ სცხოვრობს, აქ თვითეულს ოთახში 7—8 კურსისტკაა. საშინელი ხმაურობა, ყვირილი, რა თქმა უნდა, მეცადინეობას ხელს უშლის. ამ გრძელს, მაგრამ ვიწრო ოთახში, სდგას ერთი სტოლი, სადაც სამი ქალი თუ მოთავსდება, მეტი არა. დანარჩენნი ოთახიდგან ტალანში გადიან და იქ ლამპრის სინათლეზედ სწავლობენ ლექციებს, ეს ხდება ზამთარში, საშინელ სიცივის დროს.
>
> ვინც ობოლთა თავშესაფარში ვერ შოულობს ბინას, ისინი ქირაობენ 5—6—8 მანეთად თვეში უფანჯრო, ნოტიო, ბნელსა და ცივს ოთახს, სადაც მთელს დღე და ღამე ატარებენ. ერთს კურსისტკას თავისი საკუთარი ბინა არ გააჩნდა, ღამეს ათევდა თავის ამხანაგ—კურსისტკასთან, რომლის ქმარიც მოსკოვშივე მუშაობდა, მაგრამ სახლში ღამის გასათევად ძვირად დადიოდა. როცა დაბრუნდებოდა სახლში, მაშინ კურსისტკა სამზარეულოში მიდიოდა და იქ ეძინა ცივს, ქვის იატაკზედ. მეორეს—ქალაქის განაპირას დაექირა 3 მანეთად ოთახი და იქიდგან (რამდენიმე ვერსია) დადიოდა ზამთარში უკალოშოდ ლექციებზედ. მაგრამ ვერ აიტანა ამგვარი გაჭირვება და ლოგინად ჩავარდა. როცა ნახეს მისი საცხოვრებელი ბინა, შიგ იატაკი თოვლით იყო მოფენილი.
>
> ასე სცხოვრობს, ასე ებრძვის სიბნელეს არა ერთი და ორი, არამედ დიდი უმრავლესობა. ამგვარ სასტიკსა და აუტანელს გარემოებაში ბევრი ესალმება წუთი-სოფელს მაშინ, როცა დასძლიეს ყოველ-გვარი გაჭირვება და როცა ეპირებოდნენ ახალს ცხოვრებას, ახალს შრომას ქვეყნის და სამშობლოს სასარგებლოდ და სადიდებლად.

ყოველსავე ამას განმარტება აღარ ეჭირვება.

ბიბლიოგრაფია

Hugo Schuchardt. Litterarisches Georgisch.—Kleine Mittheilungen.

მოგვივიდა გერმანულს ენაზედ დასტამბული ორი ვრცელი წერილი პროფესორის ჰუგო შუხარდტისა საზოგადო სათაურით Litterarisches Georgisch. და მასივე მესამე წერილი Kleine Mittheilungen (მოკლე უწყება).

პირველს წერილში პატივცემული ავტორი, რომელსაც, როგორც სჩანს, კვლავ მოუკიდნია ხელი ქართულ ფილოლოგიისათვის (ოთხიოდე წლის წინად გვწერდა, ქართულს ფილოლოგიის შესწავლას თავს ვანებებო), წარმოგვიდგენს ბ-ნ სილოვან ხუნდაძის შრომის,—სალიტერატურო ქართულის,—განხილვას.

მეორე წერილში განიხილავს მ. ჰ. აჭარიანის თხზულებას Etude sur la langue Iaze (ლაზთა ენის განხილვა). ეს ლაზთა ენის განხილვა ბ-ნ აჭარიანს დაბეჭდილი ჰქონია პარიჟის სალინგვისტიკო საზოგადოების მემოარებში.

Kleine Mittheilungen-ში ავტორი წარმოადგენს ფონეტიკურს მასალას და ადარებს ერთურთს რავდენიმე ქართულ-სომხურს ხმებს.

ავტორის წერილები, როგორც მიუდგომელის მეცნიერის ნამუშევარი, ღირს იმად, რომ გადმოითარგმნოს და დაიბეჭდოს ქართულს ჟურნალშიაც.

მ. ჯ.

წერილები

რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ამ პატარა შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში. დრამ. საზოგ. კრების განცხადებაში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობის ერთი ახალი წევრიო. ჩვენთვის, უმრავლესობისათვის, გაუგებარია, რატომ ერთი წევრი უნდა იქმნეს არჩეული და არა ოთხი!? რამდენადაც ვიცით, გამგეობიდგან გასულნი არიან ბ-ნნი სულხანიშვილი, პ. უიფიანი, გ. დეკანოზიშვილი და შ. დედაბრიშვილი. მაშასადამე, გამგეობაში დარჩენილა სამი წევრი და სამი კაცი როგორ გასწევს შვიდის მაგიერობას! მეტყვიან, კანდიდატები ჰყავთ მიწვეულიო, კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მორიგ წლიურ კრებაზედ მაინც ოთხი უნდა იქმნას არჩეული, რადგან ადვილად შესაძლებელია, რომ ან წევრნი ან კანდიდატები, რაიმე მიზეზებისა გამო, გავიდნენ კრებულიდგან. მაშინ საიდგან შეავსებენ წევრებს. ამიტომ, ჩემის აზრით, დამდეგ კრებაზედ არჩეულ უნდა იქმნას ერთი-კი არა-ოთხი წევრი, ან თუ, მაინცა და მაინც, კანდიდატებს არ უნდა კენჭის ყრა, მაშინ იმ კანდიდატებს კანდიდატები უნდა აურჩიონ. მე მგონია, ასეთი გადაწყვეტილება უფრო სამართლიანიც იქნება.

დრ. საზ. მუდმივი წევრი.

„ივერიის“ ფოსტა:

ბათუმი. კ—ნს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

ქუთაისი. ნოეს. თქვენი შენიშვნა არ იბეჭდება.

სოფ. ჭესი (რაჭაში). **ზ. ნ. მა—ლს.** არც 1 დეკემბერს და არც 1 ნოემბერს არ ყოფილა მომგებიან ბილეთების ლოტარეია და არც უნდა ყოფილიყო, რადგან ახალის წესით, ეს რამდენიმე ხანია, ლოტარეია იმართება წელიწადში მხოლოდ სამჯერ და არა ექვსჯერ, როგორც წინად იყო. იმართება 1 იანვარს, 1 მარტს და 1 მაისს.

ჭიათურა. მარიანს. თქვენი საახალწლო სურათი „ვინ არის დამნაშავე“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 დეკემბერი.

მადრიდი. მიღებულის ცნობების თანახმად, სულთნის ლაშქარი შევიდა ტაზუს.

შანხაი. „Times“-ი იუწყება, მისიონერებმა სცნესო, რომ ტუნფუსიანი სათადარიგო ჯარს აგროვებსო.

კიურასაო. 12 დეკემბერს გადის მთავრობასა და აჯანყებულთ შორის დადებული საშვიდობო ვადა. აჯანყებულთა სამი რაზმი მიდის კარაკასისკენ. მდგომარეობა საშიშარია. მთავრობას ფული შემოაკლდა. კასტრო მიდის რომ შეაჩეროს მეამბოხენი.

პეტერბურგი. 12 დეკემბერს, 12 ს. და 35 წ. ლივადიიდგან დაბრუნდნენ ცარსკოე-სელოს მათნი იმპერატორებითი უდიდებულესობანი. მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა შეხვდნენ დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, ბორის ვლადიმერის ძე და გიორგი მიხეილის ძე. მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ცარსკოე-სელოს ალექსანდრეს სასახლეში.

12 დეკემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა სთხოვა ხელმწიფე იმპერატორს: ინებოს და ნება დართოს მიიღოს იმპერიაში ფულის მოკრებისა შემახაში სობოროს ასაშენებლად. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ხელი მოაწერა თხოვნას.—ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება შეცვლა 1-ლ ივლისიდგან 1902 წლისა განსაკუთრებული ხარჯებისა: ეს ფული დანიშნული იყო შტატ გარეშე მყოფ სასულიერო წოდების დასახმარებლად, უჯამაგირო დიაკვანთათვის.—„პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ღრამატა იურაევის უნივერსიტეტის დაარსების ასის წლის შესრულების შესახებ.

კონსტანტინეპოლი. ილდის-კიოსკოს გაუგზავნია კონფიდენციალური დეპეშა მცხოვრებლების დასამშვიდებლად, რომლებიც აღელვა მაკედონიის კომიტეტმა და სხვა გარემოებამ, ყოველი ღონე უნდა იხმაროთ, რომ სისხლის ღვრა აცდენილ იქმნასო. ეს განკარგულება რუსეთის ცნობას მიეწერება, რომელიც ამბობს გრაფ ლამზდორფის გამგზავრების შესახებ. ამავე მიზეზებს მიეწერება სხვა-და-სხვა სამხედრო მზადება, რომლის განხორციელებას ამ მოკლე ხანში შეუდგებიანო.

ვაშინგტონი. რუზველტის მიერ შუამდგომლობის მიღების შესახებ კრებაზედ, კაბინეტის რამდენიმე წევრმა, თანახმად მონროის დოქტრინისა არ მოისურვა გააგის სამედიატორო სასამართლოს ჩარევა ამ საქმეში. ამას გარდა გააგის სასამართლოს უფრო ბევრი დრო დასჭირდება, ვინემ რუზველტს.

მოსკოვი. ოლქის სამოსამართლომ განიხილა საქმე ძმ. მიხაილოვებისა, რომელთაც 200,000 მან. ყალბი თამასუქების შეყიდვა ჰბრალდებოდათ. ნაფიც მსაჯულთა თანასწრებით ბრალდებულნი გაამართლეს.

კარაკასი. 17-ს დეკემბრის შემდეგ ვენესუელის წყლებში ვერც ერთი გემი ველარ გაივლის.

ვენა. კონპრინცესსას განუზრახავს მენტონში დასახლება; მისი დაბრუნება შეუძლებელია. იქნება პაპს სთხოვონ ქორწინების გაუქმება.

ბელგრადი. მთელი ჟურნალ-გაზეთობა, მიმართულების განურჩევლად, სიხარულით ეგებებიან ლამზდორფის მისვლას ბელგრადში. რუსეთის მისსიას მისვლია აუარებელი მილოცვის დეპეშები. ყველგან გრაფს უპირებენ სიხარულით დახვედრას.

განცხადება

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა **1903** წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს ტფილისში **7** მან., ტფილისს გარედ **8** მან., ნახევარი წლით ტფილისში **3** მან. **50** კ., ტფილისს გარედ **4** მან., ხოლო სამის თვით **2** მ. თითო ნომერი სამ შაურად. ადრესის გამოცვლა ტფილისს გარედ ღირს ორ აბაზად.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალი“-ს რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათუმში სპირიდონ ჰელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“. (3—მ.—1)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

საქართველო

მეთორმეტე საუკუნეში

დ. კარიჭაშვილის მიერ სურათებით. ფასი 40 კაპ. (10—6.—1)

რადგან 8 დეკემბერს დანიშნული კრება არ შესდგა,

გამგეობა

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 15 **დეკემბერს**, დილის 10 საათზედ, ამხანაგობის მაღაზიის კანტორაში (კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ) დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება უსაჭიროეს საგნების განსახილველად. ეს მეორედ დანიშნული კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—6.—2)

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზედ ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ცალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი .	15 მ.
Riparia gloire de Montpellier . .	10 „
Berlandieri კირნარევ ნიადაგისათვის.	30 „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი .	5 „
Riparia gloire de Montpellier . .	3 „
Berlandieri	15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову. (10—471—4)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი.

ბანკის წესდების მე-82, 83, 84 85, და 86-§§-ის თანახმად, მსესხებელთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქვემოდ ჩამოთვლილ დღეებში, დილის 10 საათზედ, ტფილისის ბანკის სადგომში დანიშნულია

კრება

მომავალ სამის 1903—1905 წლისათვის 105 რწმუნებულის ასარჩევად. პირველ ჯგუფის მსესხებელთა კრება დანიშნულია 15, მეორის—16 და მესამესი—17 იანვარს 1903 წ.

რამდენიც უნდა წევრი გამოცხადდეს, კრება მაინც კანონიერად ჩაითვლება. (შენიშვ. § 86 წესდებისა).

იმათი სია, რომელთაც ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ რწმუნებულთა არჩევნებში, გამოკიდულია ბანკის სადგომში. (3—6—2)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 დეკემბრისათვის 1902 წლისა.

აქტივი.

		მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) .		17128	74
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ.		300	—
III. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. . .		1000	—
V. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი:			
ა) უზრუნველ-ყოფილნი: . .	1594—26		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: .	7927—	9521	26
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი		7283	19
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი . .		290674	30
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით .		500	—
VIII. პროტესტ-ნაქნარი თამასუქებისათვ. გაგზავნილი		2911	31
IX. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ.		2848	91
X. გირაოთი გაცემული სესხი: . . .			
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ.	12352—		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ.	29616—		
გ) საქონელზედ . . .	27105—		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ.	6714—	75787	—
XI. დასაბრუნებელი ხარჯი		147	35
XII. მოწყობა და მომართვა . . .		2413	19
XIII. კორესპონდენტები: . . .			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	106391—28		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	23379—05	129770	33
XIV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი .		93	17
XV. სხვა-და-სხვა დებიტორები . . .		635	05
XVI. მიმდინარე ხარჯები. . . .		14578	49
ბალანსი		555592	29

პასივი.

		მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 809 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან . .		87591	-
II. სათადარიგო თანხა		7354	46
III. %% სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღ.		183	45
IV. შემოტანილი ფული:			
ა) მიმდინარე ანგარიშით	112478—11		
ბ) ვადით	133202—	245680	11
V. გარდასაცემი თანხა.		3785	89
VI. გარდასახდელი სარგებელი . . .		505	32
VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა		41	72
VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად		868	—
IX. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	50281—20		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	55350—32	105631	52
X. საგანგებო მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფ. . . .		29000	—
XI. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	22000		
სხვა ბანკებში . . .	24100	46100	—
XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა .		2390	—
XIII. წაუღებელი დივიდენდი 1901 წლისა. .		1771	68
XIV. მიღებული სარგებელი		24459	04
XV. მოგება და ზარალი 1902 წლისა . .		230	10
ბალანსი.		555592	29
პასუხის-მგებლობა 809 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ.		788319	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება		9000	—
თამასუქები საკომისიოდ.		8925	58

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.